აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

ეს დებულება განსაზღვრავს აღსრულების პოლიციელის უფლება-მოვალეობებს, სამმართველოს ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. პოლიციის სამმართველოს სტატუსი

1. აღსრულების პოლიციის სამმართველო (შემდგომში - სამმართველო) შექმნილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო) სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 3. სამმართველოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 4. სამმართველოს მიზანი

სამმართველოს მიზანია:

ა) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსასრულებელი აქტების აღსრულების პროცესში, მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღმასრულებელს აღმოუჩინოს დახმარება სააღსრულებო მოქმედებების უსაფრთხო პირობებში ჩატარების, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, პირთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების უზრუნველსაყოფად;

ბ) სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებისას უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

გ) სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებისას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას აღმასრულებელი და სხვა პირები, ასევე, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ამ პირთა ქონება;

დ) უზრუნველყოს აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროების შენობების, მიმდებარე ტერიტორიისა და მატერიალური რესურსების დაცვა;

ე) უზრუნველყოს აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროების შენობებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა;

ვ) განახორციელოს კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა სახის უფლებამოსილებები, ასევე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებით დელეგირებული სხვა უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია აღსრულების პროცესის უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველყოფა.

თავი II. სამმართველოს ორგანიზაცია და სამმართველოს თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობები

მუხლი 5. სამმართველოს უფროსი

1. სამმართველოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

2. სამმართველოს უფროსი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს მისადმი დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის; აძლევს მათ დავალებებსა და წერილობით მითითებებს;

ბ) თვალყურს ადევნებს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას;

გ) ახდენს სამმართველოს განყოფილებების მუშაობის კოორდინაციას; საჭიროების შემთხვევაში, წყვეტს აღსრულების პოლიციელების სხვა განყოფილებებისათვის დახმარების საკითხს;

დ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს სამმართველოს სტრუქტურის, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლებისათვის წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ;

ე) ადგენს სამმართველოს სამუშაო გეგმებს, ხელმძღვანელობს მათ შესრულებას;

ვ) იბარებს სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ზ) ზედამხედველობას უწევს აღსრულების პოლიციელთათვის სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის დადგენილი წესით გადაცემის, ჩამორთმევისა და მათი გამოყენების კანონიერებას;

თ) აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს პერიოდულად ან/და მოთხოვნისამებრ წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ი) პასუხისმგებელია სამმართველოზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

კ) ასრულებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სხვა დავალებებს.

მუხლი 6. სამმართველოს უფროსის მოადგილე

1. სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

2. სამმართველოს უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს პოლიციის სამმართველოს უფროსს პოლიციის მართვის ორგანიზებაში;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების უფროსებს, ხოლოცალკეულ შემთხვევებში - ჯგუფის უფროსებსა და აღსრულების პოლიციელებს შორის; აძლევს მათ დავალებებსა და წერილობით მითითებებს;

გ) თვალყურს ადევნებს სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას;

დ) ახდენს სამმართველოს განყოფილებების მუშაობის კოორდინაციას; საჭიროების შემთხვევაში, წყვეტს აღსრულების პოლიციელების სხვა განყოფილებებისათვის დახმარების საკითხს;

ე) იბარებს სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და წარუდგენს მას სამმართველოს უფროსს;

ვ) პასუხისმგებელია მისადმი დაქვემდებარებულ თანამშრომლებზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

ზ) ზედამხედველობას უწევს აღსრულების პოლიციელთათვის სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის დადგენილი წესით გადაცემის, ჩამორთმევისა და მათი გამოყენების კანონიერებას;

თ) ასრულებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის და სამმართველოს უფროსის მიერ განსაზღვრულ სხვა დავალებებს.

მუხლი 7. სამმართველოს ორგანიზაციული მოწყობა, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და ჯგუფის უფროსების უფლებამოსილებანი

1. სამმართველოში სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით შედის შემდეგი განყოფილებები:

ა) თბილისის განყოფილება;

ბ) ქუთაისის განყოფილება;

გ) ბათუმის განყოფილება.

2. თბილისის განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები.

3. ქუთაისის განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები.

4. ბათუმის განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორია.

5. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

6. განყოფილების უფროსი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს ჯგუფებსა და აღსრულების პოლიციელებს შორის, აძლევს მათ დავალებებსა და წერილობით მითითებებს;

ბ) იღებს სააღსრულებო ბიუროს უფროსებისა და აღმასრულებლების წერილობით მიმართვებს აღსრულების პოლიციელთა დახმარების აუცილებლობის შესახებ;

გ) თვალყურს ადევნებს ჯგუფის უფროსებისა და აღსრულების პოლიციელების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;

დ) ჯგუფის უფროსებისაგან და აღსრულების პოლიციელებისაგან იბარებს პატაკებს მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

ე) სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს აღსრულების პოლიციელთა წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ;

ვ) კონტროლს უწევს სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის დადგენილი წესით აღსრულების პოლიციელთათვის გადაცემას და ჩამორთმევას, მათი გამოყენების კანონიერებას;

ზ) ასრულებს სამმართველოს უფროსისა და მისი მოადგილის დავალებებსა და მითითებებს;

თ) პერიოდულად ან მოთხოვნისამებრ წარუდგენს სამმართველოს უფროსს ან/და მის მოადგილეს ინფორმაციას განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ი) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

7. თბილისის განყოფილება შედგება ორი ჯგუფისაგან, ქუთაისის განყოფილება - ერთი ჯგუფისაგან.ბათუმის განყოფილებაში ჯგუფი არ იქმნება და აღსრულების პოლიციელები უშუალოდ განყოფილების უფროსს ექვემდებარებიან.

8. ჯგუფს ხელმძღვანელობს ჯგუფის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

9. ჯგუფის უფროსი:

ა) აძლევს დავალებებსა და მითითებებს მის დაქვემდებარებაში მყოფ აღსრულების პოლიციელებს;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში, უშუალოდ მონაწილეობს აღსრულების პოლიციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში და ხელმძღვანელობს მათ;

გ) ჯგუფის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ აბარებს პატაკს განყოფილების უფროსს;

დ) თვალყურს ადევნებს აღსრულების პოლიციელთა საქმიანობას და პასუხისმგებელია მათი ქმედების კანონიერებასა და მათი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაზე;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

თავი III. აღსრულების პოლიციელი და მისი უფლებამოსილება

მუხლი 8. აღსრულების პოლიციელი

1. აღსრულების პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

2. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას აღსრულების პოლიციელი არის ხელისუფლების წარმომადგენელი და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აღსრულების პოლიციელის უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით დადგენილი წესით.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები.

5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელი ატარებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ნიმუშის სამსახურებრივ ფორმას, რომლითაც მას უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო. აღსრულების პოლიციელს ეძლევა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისი პირადობის მოწმობა.

მუხლი 9. აღსრულების პოლიციელის უფლება-მოვალეობები

1. აღსრულების პოლიციელს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს მართლწესრიგის დაცვა;

ბ) აღკვეთოს პირთა უკანონო ქმედებები;

გ) აღმასრულებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დააკავოს მოვალის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება და წარუდგინოს აღმასრულებელს;

დ) თავისი უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად, კანონით დადგენილი წესით, გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი;

ე) განახორციელოს კანონმდებლობით და ამ დებულებით ნებადართული სხვა სახის უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია აღსრულების პროცესის უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველყოფა.

2. აღსრულების პოლიციელი ვალდებულია:

ა) მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში აღმასრულებელს აღმოუჩინოს დახმარება სააღსრულებო მოქმედებების უსაფრთხო პირობებში ჩატარების, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, პირთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების უზრუნველსაყოფად;

ბ) სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

გ) სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას აღმასრულებელი და სხვა პირები, ასევე მათი ქონება;

დ) უზრუნველყოს აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროების შენობების და მატერიალური რესურსების დაცვა;

ე) უზრუნველყოს აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროების შენობებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა.

თავი IV. სამმართველოში სამსახურის გავლის წესი

მუხლი 10. სამმართველოში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები

სამმართველოში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონები, ეს დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები სამმართველოს თანამშრომელთათვის

აღსრულების პოლიციელად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, აქვს უმაღლესი განათლებადა იგი პიროვნული თვისებებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

მუხლი 12. სამმართველოს თანამშრომლებისათვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესი

სამმართველოს თანამშრომლებისათვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V. სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესი

მუხლი 13. სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, გაცემისა და ჩაბარების წესი

1. სამმართველოსთვის განკუთვნილი სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი ინახება სამმართველოს განყოფილებაში არსებულ საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ დაცულ საცავში.

2. აღსრულების პოლიციელზე სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გაცემა ხდება მათ მიერ სამუშაო დროის დაწყებისას.

3. სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გაცემა ფიქსირდება სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის აღრიცხვის ჟურნალში, იარაღის სახეობის, ნომრის, საბრძოლო ტყვიების რაოდენობისა და გაცემის დროის მითითებით.

იარაღის გაცემა მოწმდება სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამცემი და მიმღები პირის ხელმოწერით.

4. აღსრულების პოლიციელისა და ჯგუფის უფროსის მიერ სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარება ხდება მათი გაცემისათვის დადგენილი წესით სამუშაო დროის დამთავრებისას.

5. სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაზე, გაცემასა და ჩაბარებაზე კონტროლს ახორციელებს შესაბამისი განყოფილების უფროსი.

მუხლი 14. სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება

სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.